

კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა:

კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა დადგენილია „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულებით და „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2012 წლის 11 მაისის №159 ბრძანებით.

კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის N102 ბრძანებით შექმნილია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნუგზარ ჩოხელი – კომისიის თავმჯდომარე (საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი).

გიორგი ყანაშვილი – კომისიის წევრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი).

ვალერიან ხავთასი – კომისიის წევრი (ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი).

ვახტანგ კიკვაძე – კომისიის მოწვეული წევრი (სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“-ს აღმოსავლეთ საქართველოს ე.გ.ხ.-ების ექსპლუატაციისა და მშენებლობის მენეჯერი).

თამარ კეპულაძე – კომისიის მდივანი (იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი).

საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 დღეში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

კონკურსის პროცესთან და შედეგებთან დაკავშირებული დავა წყდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.